მებადური და ოქროს თევზი

ილუსტრატორი
ლორ ფურნიე

სულაკაურის
გამომცემლობა

იყო ერთი ღარიბი მებადური.
ის ცოლთან ერთად ზღვის პირას,
პატარა ქოხში ცხოვრობდა.

ერთ დღეს მებადურმა ოქროს თევზი
დაიჭირა.

– გამიშვი, მებადურო, და რასაც
მთხოვ, შეგისრულებ! – სთხოვა
თევზმა.

კეთილ მებადურს შეეცოდა ოქროს
თევზი და ზღვაში გაუშვა.

შინ დაბრუნებულმა მებადურმა ცოლს ყველაფერი უამბო.

– სულელო, ეგ რა გიქნია! – გაბრაზდა ცოლი, – ახლავე წადი და ოქროს თევზს უთხარი, რომ ლამაზი სახლი მსურს!

დაღონებული მებადური დაბრუნდა ზღვასთან და ოქროს თევზს დაუძახა:

– ოქროს თევზო, ნაპირზე გამოდი!

მწვანე ტალღებში ოქროს თევზი გამოჩნდა. მებადურმა მას ცოლის სურვილი გაუმხილა.

– რასაც მთხოვ, შეგისრულებ! – უთხრა თევზმა და გაუჩინარდა.



მებადური შინ დაბრუნდა.
– ნახე, რა ლამაზი სახლი გვაქვს! – შეეგება ცოლი.
– ახლა ბედნიერი ხარ? – ჰკითხა ქმარმა.
– ჰო, ჰო, რა თქმა უნდა... – უპასუხა ცოლმა და ჩაფიქრდა.

ერთი კვირის შემდეგ ქალმა მებადურს უბრძანა:
– ახლავე წადი და ოქროს თევზს უთხარი, რომ დიდი ვილა მსურს!
რაღას იზამდა მებადური...